KA030135462697917

№ 01-20333 **20 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს
მინისტრის მოადგილის ზაზა სოფრომაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ რომ, სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა" 2017 წლის 13 სექტემბრის N12/2010 წერილით, მომართა სამინისტროს ,,სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის" ასიგნებების ფარგლებში რიგი შესყიდვების განხორცილების შესახებ. კერძოდ:

- მაღალმთიან რეგიონებში სასწრაფო სამედიცინო სერვისების დროულად მიწოდების მიზნით დამატებით 12 ერთეული მაღალი გამავლობის ჯიპის ტიპის სასწრაფო სამედიცინო ავტომანქანის შესყიდვა. აღნიშნული ავტომანქანის ტექნიკური მახასიათებლები იდენტურია იმ 10 ერთეული ავტომანქანისა, რომლის შესასყიდად ჩვენს მიერ 2017 წლის სექტემბერს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი. ამდენად, განსახორციელებელი შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 1 528 800 (ერთი მილიონ ხუთას ოცდარვაა ათას რვაასი) ლარით;
- 28 დღემდე ასაკის პაციენტების ტრანსპორტირების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ხუთი ერთეული ახალშობილთა სატრანსპორტო კიუვეზის და ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის აპარატის შესყიდვა;
- ცენტრის თანამშრომლებისთვის ახალი უნიფორმების შესყიდვა. 2015 წლის დეკემბრის თვეში სამინისტროს მიერ განხორციელდა ცენტრისთვის უნიფორმების შესყიდვა, რომლებიც ხმარებისგან მოძველდა და საჭიროებს სრულ განახლებას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციული დეპარტამენტს ჩატაროს ყველა საჭირო პროცედურა ზემოაღნიშნული შესყიდვების განხორციელების მიზნით.

პატივისცემით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბერძული